ბრძანება:**№37. 3724057001**

თარიღი:**26/02/2024**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების - ნინო ჭანიშვილის, დავით ჭაკნელიძის და ბექა თოიძის სამსახურებრივი მივლინების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2024 წლის 22 თებერვლის №37.3724053001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილი იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების - ნინო ჭანიშვილის, დავით ჭაკნელიძის, და ბექა თოიძის სამსახურებრივი მივლინების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2024 წლის 22 თებერვლის №37.3724053001 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების - ნინო ჭანიშვილის, დავით ჭაკნელიძის, ბექა თოიძისა და ნინო ნადირაშვილის სამსახურებრივი მივლინების შესახებ“

ბ) ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები - ნინო ჭანიშვლი, დავით ჭაკნელიძე, ბექა თოიძე და ნინო ნადირაშვილი მივლინებულ იქნან ქალაქ ბათუმში, (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგზე დასასწრებად, 2024 წლის 26 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით.“.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

„საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი